ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 93

"18" მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთს" (ს/ნ. 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების" ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების საკითხის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127[2] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის მე-12 მუხლის შესაბამისად და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთს" (ს/ნ. 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების" ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 მარტის №22.342.367 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი

ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთს“ (ს/ნ. 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებულ იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოფმენთს“ (ს/ნ. 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 მარტის №22.342.367 განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

ბ) მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულების 25-ე პუნქტის შესაბამისად, ამავე ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, კერძოდ, IV ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისთვის 2021 წლის 28 ივნისიდან - 2021 წლის 30 დეკემბრამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსა და V ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევისთვის 2021 წლის 28 დეკემბრიდან ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შპს „ვარკეთილი დეველოფმენთის“ (ს/ნ. 405323699) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**